სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030646556258818

**27 / მარტი / 2018 წ.** **თბილისი #06-56/ო**

**„2018 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 დეკემბრის №592 დადგენილებით გათვალისწინებული სახელმწიფო პროგრამების/კომპონენტების ზედამხედველობისთვის გამოყენებული წესების, ფორმების და მათი შევსების ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე” სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის 2018 წლის პირველი თებერვლის #06-13/ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

**1.** „2018 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 დეკემბრის № 592 დადგენილებით გათვალისწინებული სახელმწიფო პროგრამების/კომპონენტების ზედამხედველობისთვის გამოყენებული წესების, ფორმების და მათი შევსების ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე” სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის 2018 წლის პირველი თებერვლის #06-13/ო ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგის“ სახელმწიფო პროგრამის „კიბოს სკრინინგის“ კომპონენტის ფარგლებში დაემატოს საკომუნიკაციო ღონისძიებების ადმინისტრირებისა და ანგარიშგებისათვის საჭირო ფორმა და მისი შევსების ინსტრუქცია თანდართული დანართი #1[1] და დანართი #2[1] -ის შესაბამისად.

**2.** დაევალოს:

**ა)** ცენტრის სახელმწიფო პროგრამების დეპარტამენტს (ვლ. გეთია), საზჯანდაცვის რეგიონული მართვის დეპარტამენტის იმერეთის და აჭარის სამმართველოების, ფოთის, სამეგრელო-ზემოსვანეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის, სამცხე-ჯავახეთის, შიდა ქართლის და კახეთის განყოფილებების უფროსებს, ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართების გაცნობა შესაბამისი მიმწოდებლებისათვის და საჭიროების შემთხვევაში, დახმარების აღმოჩენა საანგარიშო პერიოდში წარმოსადგენი ანგარიშგების ფორმ(ებ)ის შევსებასთან დაკავშირებით;

**ბ)** ცენტრის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (კ. ოჩიგავა), უზრუნველყოს ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამების/კომპონენტების ზედამხედველობისთვის გამოყენებული წესების, ფორმების და მათი შევსების ინსტრუქციების განთავსება ცენტრის ოფიციალურ ვებ–გვერდზე – www.ncdc.ge.

**3.** ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე ალექსანდრე ტურძილაძე.

**4.** ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

**5.** ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი) ერთი თვის ვადაში.

გენერალური დირექტორი ამირან გამყრელიძე